N გ-20-04/3473
03/11/2020

3473-გ-20-04-2-202011031350

მაუწყებლებს

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნდა არჩევნების წინასწარი შედეგები, რომლის შესაბამისადაც რიგ მაჟორიტარულ ოლქში არჩევნების მეორე ტური გაიმართება.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 76[1] მუხლის 21-ე ნაწილის თანახმად, წინასაარჩევნო რეკლამების განთავსებისათვის მოქმედებს არჩევნების პირველი ტურისათვის გამოქვეყნებული ტარიფები. შესაბამისი **ტარიფის შეცვლა** დასაშვებია პირველი ტურის დასრულებიდან **არაუგვიანეს მე-10 დღისა**. ახალი ტარიფი ეგზავნება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ვებგვერდზე გამოქვეყნების მიზნით. ეს ტარიფი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე. **წინასაარჩევნო რეკლამებს მაუწყებლები გადასცემენ მეორე ტურის დანიშვნის დღის მომდევნო ორშაბათიდან**. ამავე მუხლის 22-ე ნაწილის შესაბამისად, იმ საარჩევნო ოლქში (ოლქებში), სადაც არჩევნების მეორე ტური ტარდება, უფასო საეთერო დრო ნაწილდება მეორე ტურში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებს შორის იმ პროპორციით, რომლითაც არიან წარმოდგენილი ეს საარჩევნო სუბიექტები შესაბამის საარჩევნო ოლქში (ოლქებში) მეორე ტურში მონაწილეობისათვის.

გთხოვთ, ზემოაღნიშნული გაითვალისწინოთ თქვენს საქმიანობაში.

პატივისცემით,

კახი ბექაური

თავმჯდომარე
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ქეთევან წამებულის გამზ.
ბოჭორმის ქ. 50/18, თბილისი, 0144

+995 32 292 16 67
+995 32 292 16 25

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია